ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების,

ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის სხდომის

ოქმი N2

22.02.2022

სხდომის ჩატარების ადგილი:

ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი

თვითმმართველობის შენობა.

რუსთაველის გამზირი N3

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის სხდომა ჩატარდა თვითმმართველობის შენობაში არსებულ სხდომათა დარბაზში, სხდომას ხელმძღვანელობდა კომისიის თავმჯდომარე, ბატონი ბექა ქებულაძე.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

თეა ჯუღელი, მერაბ ჭოხონელიძე, მარეხი ნიჟარაძე, ბესიკ ხამაშურიძე, ხათუნა არველაძე, ქეთევან ხურციძე, ნინო ჩიკვაშვილი და ონლაინ პლატფორმა „ზუმის" მეშვეობით მანანა ჩიხლაძე.

სულ 8 წევრი.

არ ესწრებოდნენ: ანა კოხრეიძე, კახაბერ გაბუნია, თედო მესხი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გია ბასილაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი თეონა მელქაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ადმინისტრაციული განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი გიორგი ლელაძე,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ადმინისტრაციული სამსახურის, მეორე სტრუქტურული ერთეულის-კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა გაყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ლანა სვანიძე, ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის წევრი ბესო ბრეგაძე.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა ბექა ქებულაძემ და წარმოადგინა დღის წესრიგი:

1.ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მოწონების შესახებ.

დღის წესრიგთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა, ღია კენჭისყრით ერთხმად დაადგინეს;

დამტკიცდეს კომისისს სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მოისმინეს:

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მოწონების შესახებ".

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი კომისიის წევრებს წარუდგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ბექა ქებულაძემ: „მოგესალმებით ქალბატონებო და ბატონებო, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების , ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის სხდომას გახსნილად ვაცხადებ. მოგეხსენებათ ჩვენი კომოსიის მთავარი მიზანი და სტრატეგია ორიენტირებულია ჩვენი ქალაქის ახალგაზრდობის ინიციატივებზე, ახალგაზრდულ პროექტებზე. ახალგაზრდობა ეს არის ის ნაწილი რომელიც ამინდს ქმნის და ჩვენ შეგვიძლია მათთან ურთიერთობით არაერთი ნოვაცია შევძინოთ ჩვენს ქალაქს, მე პირადად შეხება მაქვს ჩემი პროფესიიდან გამომდინარე სტუდენტებთან და ყოვეთვის საინტერესოა მათი მოსაზრებების მოსმენა, გაზიარება და შემდგომში პრაქტიკაში ასახვა. ახალგაზრდობის მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით დღეს ჩვენი წარმდგენი არის ქალბატონი ლანა სვანიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი და ვთხოვოთ ქალბატონ ლანას, გაგვაცნოს ამ სტრატეგიის შესახებ და ვიმსჯელოთ აღნიშნული დღის წესრიგის ირგვლივ".

საკითხი გაგვაცნო ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსმა სპეციალისტმა ქალბატონმა ლანა სვანიძემ: „ეს არ არის პირველი და ერთადერთი შემთხვევა, როცა ამდენ დროს და ენერგიას ვუთმობთ ახალგაზრდობის განვითარებას , მე მირჩევნია მოკლედ გითხრათ წინარე პერიოდი რა იყო სტრატეგიის შემუშავებისა. ჩვენ გავაფორმეთ მემორანდუმი ახალგაზრდობის სააგენტოსთან და დავიწყეთ კვლევა თუ რას საჭიროებდნენ ახალგაზრდები ქუთაისის მუნიციპალიტეტში. ჩვენი მიზანი იყო გამოგვევლინა ახალგაზრდების საჭიროებები, უფლებები, მოვალეობები და ჩვენს ქალაქში არსებული პრობლემური საკითხები. ამ კვლევის საფუძველზე დავიწყეთ სტრატეგიის შექმნის პროცესი. ჩვენ, როგორც მუნიციპალიტეტის თანმშრომლები, საჯარო მოხელეები გადაგვამზადეს ამ ყველაფრისათვის, გვეხმარებოდნენ სააგენტოს ექსპერტები, ამ კვლევების მიხედვით გამოვლინდა 6 ძირითადი მიზანი და მოკლედ გეტყვით ამ მიზნების შესახებ, ესენია: სამოქალაქო ცხოვრებაში ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდა, ახალგაზრდული საქმიანობის განვითარება, ახალგაზრდების

ჯანმრთელობის და კეთილდღეობის მხარდაჭერა, ახალგაზრდებისთვის არაძალადობრივი, უსაფრთხო და ინკლუზიური გარემოს შექმნის ხელშეწყობა, ახალგაზრდების ეკომონიკური გაძლიერება და დასაქმების ხელშეწყობა, ახალგაზრდული პოლიტიკის მართვის სისტემების გაუმჯობესება. ჩვენ, მხოლოდ ამ კვლევებზე დამოკიდებული რომ არ ვყოფილიყავით და ეს სტრატეგიული დოკუმენტი მხოლოდ ამ კვლევებზე დაყრდნობით არ გაგვეკეთებინა, ეს ამოცანები გავიტანეთ საჯარო განხილვებზე, სადაც დაახლოებით 100-მა ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა და მოახდინა ამ ამოცანების ინტერპრეტირება, ერთობლივად ჩამოვაყალიბეთ ამ მიზნების შესრულების ამოცანები, მუშაობის ფარგლებში შევიმუშავეთ სამოქმედო გეგმა და ამ სამოქმედო გეგმას ჰქვია ქუთაისის ახალგაზრდული სტრატეგიის სამოქმედო გეგმა 2022-2024. ქალაქში პირველად შეიქმნა ახალგაზრდული სივრცე კოლეჯ"იბერიას" ბაზაზე, სადაც იწერება პროექტები ახალგაზრდულ ინიციატივებზე. სამოქმედო გეგმა იქნება ყოველწლიურად განახლებადი და ორიენტირებულია კულტურულ და საგანმანათლებლო ინიციატივებზე. გამოიკვეთა ის, რომ ქალაქში არ გვყავს ახალგაზრდული მუშაკები და ამ მხრივ ჩვენს განყოფილებას აქვს ახალგაზრდული მუშაკების გადამზადების პროგრამა. ამ პროგრამის გავლის შემდეგ ახალგაზრდული მუშაკები შეეცდებიან სხვა ახალგაზრდების ინფორმირებას სხვადასხვა საკითხებში.

აზრი გამოთქვეს:

ბექა ქებულაძე: „მინდა ყურადღება გავამახვილო ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლების საკითხთან დაკავშირებით, თვითმმართველობის რგოლებთან მიმართებაში. ჩვენ უნდა მოვახდინოთ ახალგაზრდების ინტეგრირება საზოგადოებრივ ცხოვრებაში და უნდა მოვახდინოთ მათი ინფორმირებულობა."

ხათუნა არველაძე: „რათქმაუნდა ძალიან მნიშვნელოვანია ახალგაზრდების ხელშეწყობა, განსაკუთრებით პანდემიის პირობებში, სკოლის ბავშვების ონლაინ სწავლებასთან დაკავშირებით. ჩვენ იძულებული გავხდით პანდემიიდან გამომდინარე შევჯახებოდით ამ პრობლემას. ძალიან დიდი ფსიქო-ემოციური ფონი მიიღო მოსწავლემ და სკოლის ხელმძღვანელობამ უნდა იზრუნოს მათ კულტურულ,ინტელექტუალურ, სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობაზე".

მარეხი ნიჟარაძე: „მოგესალმებით, მოგეხსენებათ ყველას, თუ როგორი გადინებაა ახალგაზრდების ქალაქიდან, მიდიან საზღვარგარეთ და ასევე დედაქალაქშიც. აუცილებლად განსახილველია, როგორ და რა გზით შეიძლება შევუშალოთ ამას ხელი და როგორ უნდა მოვახდინოთ მათი დასაქმება ჩვენსავე ქალაქში''.

თეა ჯუღელი: „საქართველოში ახალგაზრდული სააგენტო დიდი ხანი არ არის რაც შეიქმნა, კვლევების მიხედვით სამიზნე ჯუფი იყო ქუთაისის მუნიციპალიტეტი და კვლევებმა აჩვენა, რომ ახალგაზრდებს ქალაქ ქუთაისში აქვთ ინფორმაციის ნაკლებობა ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. როცა მათ ჰკითხეს რატომ არა აქვთ ინფორმაცია რომელიმე საკითხზე

პასუხობენ, რომ მათ არ იცოდნენ ამის შესახებ. ახალგაზრდების დიდი ნაწილი ინფორმაციას ღებულობს ინტერნეტის და შემდეგ ტელევიზიის მეშვეობით. ჩვენ უნდა შევქმანთ საინიციატივო ჯგუფები, სადაც მოხდება ქუთაისის მუციციპალიტეტის ახალგაზრდების ინფორმირებულობა მათთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით. ეს ახალგაზრდული სტრატეგია რომ განვავითაროთ, ჩემი აზრით უნდა გავაკეთოთ გასვლითი პროგრამები სხვადასხვა უნივერსიტეტებში თუ სკოლებში და აქტიურად ჩავერთოთ ახალგაზრდების ინფორმირებულობასა და განვითარებაში''.

ბესო ბრეგაძე: „მოგესალმებით და ბოდიშს გიხდით მე თუმცა არ ვარ ამ კომისიის წევრი, მაგრამ გამოვთქვამ ჩემს აზრს ამ საკითხთან დაკავშირებით. ინფორმაციის გავრცელების პრობლემა ყოველთვის იყო და არის. კონკრეტული ბიუჯეტის რაღაც% იყო გამოყოფილი ინფორმაციის გავრცელებისთვის, ოღონდ არა კონკრეტული ღონისძიების შემცირების ხარჯზე. ამ თემაზე ფული არ უნდა დაიზოგოს, საზოგადოებას უნდა ჰქონდეს ინფორმაცია რა კეთდება და როგორ კეთდება. ქალაქში ბევრი ღონისძება ტარდება, რომელსაც საერთოდ ვერ გებულობს საზოგადოება."

ჩიკვაშვილი ნინო: "მოგესალმებით კიდევ ერთხელ, დღევანდელი კომისია პირველი გამოცდილებაა ჩემთვის და ძალიან მნიშვნელოვანი, ამიტომაც ვარ საკრებულოში, რომ ჩემი წვლილი შევიტანო კულტურისა და განათლების განვითარებაში ჩემს ქალაქში. მე ვემხრობი საჯარო და კერძო სექტორის ურთიერთობას ერთმანეთთან, საჭიროა პირდაპირ სკოლებში შესვლა და ინფორმირებულობა, როგორც მოსწავლეების, ასევე მშობლების პროფესიულ გადამზადებასთან დაკავშირებით.''

საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ბექა ქებულაძემ საკითხი ყოველგვარი შენიშვნების გარეშე დააყენა კენჭისყრაზე.

კომისიამ ღია კენჭისყრით, ერთხმად დ ა ა დ გ ი ნ ა:

მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა და წარდგენილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე შენიშვნების გარეშე.

ამით ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და

სპორტის კომისიის თავმჯდომარე

ბექა ქებულაძე